

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 19 მაისის

დადგენილება № 1527

2014-2015 სასწავლო წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის

თვეებში სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებული სტუდენტებისათვის

სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის წესი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭო ადგენს:

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 26 მარტის N322 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისათვის 2015 წლის მარტის, აპრილის, მაისის, ივნისისა და ივლისის თვეებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო 632 სტიპენდია განაწილდეს ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის პროპორციულად, სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთა ჯამური რაოდენობიდან;
2. სახელმწიფო სტიპენდია დაინიშნოს 2014-2015 სასწავლო წლის ზამთრის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანის ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისია სახელმწიფო სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და სახელმწიფო სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:
 - სახელმწიფო სტიპენდია დაენიშნება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ ბაკალავრიატის სწავლების I, II, III და IV წლის, იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 81% და მეტს;
 - სახელმწიფო სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებისათვის განსაზღვრული კვოტის ფარგლებში თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. რომელიმე ფაკულტეტზე, ამ წესის მე-3 პუნქტში მითითებული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების არასაკმარისი რაოდენობის შემთხვევაში, გაუნაწილებელი სტიპენდიები პროპორციულად გადანაწილდეს იმ ფაკულტეტებზე, სადაც სწავლობენ მათთვის დადგენილ კვოტებზე მეტი რაოდენობის საკმარისი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტები.
5. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება სახელმწიფო სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე